თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #37

ქ. თბილისი 2023 წელი, 10 ნოემბერი, 17:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ზურაბ აბაშიძე, გივი ჩხარტიშვილი, კონსტანტინე ზარნაძე, საბა ბუაძე, ნინო წულაძე, ოთარ გრიგოლია, ლილე ლიპარტელიანი, ანა გოგოლაძე

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: ნიკოლოზ კახეთელიძე, მამუკა გუგეშაშვილი, ზაზა თავაძე

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:
ვიქტორ წილოსანი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული სააგენტოს უფროსი

№	საკითხის დასახელება
1.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მოსმენა

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დღის წესრიგი.

კომისიის სხდომაზე ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული სააგენტოს ანგარიში სააგენტოს უფროსმა ვიქტორ წილოსანმა წარმოაგინა. მისი თქმით, ურბანული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიზანი იყო გენერალური გეგმის მიერ მითითებული რეკომენდაციების შესრულება და მაქსიმალურა ვცდილობთ ამ მითითებების გათვალისწინებას. რაც მნიშვნელოვანიას მომდევნო წლებში ქალაქის სწორი განვითარებისთვის. მნიშნელოვანი პროექტები განხორციელდა თბილისის ისტორიულ ნაწილში. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო ის, რომ კანონით აიკრძალა სამშენებლო კოეფიციენტების გადამეტება და არცერთი ნებართვა არ გაიცემა სკვერის თუ სპორტული მოედნის ხარჯზე. აღნიშნული გაგრძელდება შემდეგ წლებშიც. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის, საბაგირო ტრანსპორტის განვითარების, მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობისათვის მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 91,512.1 ათასი ლარი (მათ შორის დამონტაჟდა შუქნიშნის 33 ახალი ობიექტი (სატრანსპორტო დეტექტორები, ვიდეოკამერები, საგზაო კონტროლერები და უსაფრთხოების კუნძულები), 150 ცალი ვიდეოთვალთვალის კამერის შეძენა/მონტაჟი/ტექნიკური მომსახურება; ქუჩების და მაგისტრალების სავალ ნაწილზე დატანილია 67578.75 კვ.მ ჰორიზონტალური (აკრილის, თერმო და ცივი პლასტი) საგზაო მონიშვნა, წაიშალა 5371.82 კვ.მ საგზაო მონიშვნა, მოირეცხა (გასუფთავდა) 9340.94 კვ.მ ქუჩის სავალი ნაწილი; დასრულდა მეტროს სადგურის „გოცირიძე" კაპიტალური რემონტი (მიმდინარეობს ექსპერტიზის დასკვნის მომზადება, რის შემდგომაც მოხდება საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმება) და მეტროს სადგურის „ვარკეთილი" პროექტირება, გრძელდება მეტროს სადგურის „ავლაბარი" ზედა ვესტიბიულის რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოები; დაიწყო მთაწმინდის საბაგირო გზის მშენებლობა (მათ შორის დასრულდა მე-3, მე-4 და მე-5 საყრდენი ანძების სამშენებლო ნაწილის მოწყობა, ზედა სადგურის კონსტრუქციების მოწყობა - 0,6 ნიშნულამდე, ქვედა სადგურზე და პირველ საყრდენ ანძაზე ფუნდამენტის და კონსტრუქციის მოწყობა -12,3 ნიშნულამდე); საშუალო და კაპიტალური შეკეთება მოდერნიზაციის ელემენტებით ჩაუტარდა 7 ერთეულ 81-717M სერიის მეტროს სათაო და 7 ერთეულ 81-714M ტიპის შუალედურ ვაგონს)

ბიუჯეტის პროექტით - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, განხორციელდება დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, ბოძკინტების, ზღუდარების, ბარიერების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია; საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტობუსის გაჩერებებზე მოსაცდელების მოწყობა; შუქნიშნის ახალი ობიექტების დაყენება, გზაჯვარედინებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების რეკონსტრუქცია და მიერთება მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე, შუქნიშნის მართვის ცენტრის ექსპლუატაცია; დედაქალაქის ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფისათვის შუქნიშნების მუშაობის რეჟიმის რეგულირება, გზაჯვარედინების რეორგანიზაციის სამუშაოების ჩატარება და გადასასვლელების მოწყობა; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებლის დამონტაჟება; ქალაქ თბილისის მაშტაბით ელექტრო ავტომანქანების დასატენი მოწყობილობების დამონტაჟება; ტრანსპორტის განვითარების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურება; მეტროს

სადგურების რეკონსტრუქცია, „ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების“ განახლება - განვითარება; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (მათ შორის ავტობუსების შეძენა, ვაგონების მოდერნიზაცია); საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია და სხვა ღონისძიებები.
ურბანული ტრანსპორტის მართვის ცენტრის შექმნის მიზნით, იგეგმება მემორანდუმის გაფორმება. მემორანდუმის მიზანია, გააერთიანოს დაინტერესებული მხარეები, რათა ურბანული ტრანსპორტის მართვის ცენტრის შექმნის გზით, დედაქალაქში მობილობის გამოწვევები გადაიჭრას. „მდგრადი ურბანული მობილობის პროექტის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის - ურბანული ტრანსპორტის მართვის ცენტრის შექმნას ისახავს მიზნად. მოგეხსენებათ, თბილისის მერია, საქართველოს მთავრობის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით, მიმდინარე წლის გაზაფხულიდან, საკონსულტაციო კომპანია ,,გოპას“ მონაწილეობით ახორციელებს აღნიშნულ პროექტს. „მდგრადი ურბანული მობილობის პროექტი“, მომდევნო 5 წლის განმავლობაში, დედაქალაქში განავითარებს ჭკვიან სატრანსპორტო სისტემებს, განაახლებს ინფრასტრუქტურას, და უზრუნველყოფს აღნიშნული სისტემების ინტეგრაციას. პროექტის ყველა ეტაპი წარიმართება შესაბამისი დაინტერესებული პირების, სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო და კერძო სექტორის ჩართულობითა და ტექნიკური მხარდაჭერით, ხოლო მისი განხორციელებით მოსალოდნელ შედეგებს შორისაა შემცირებული საცობები და ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება, შემცირებული მგზავრობის და მოლოდინის დროები. ამასთან, გაუმჯობესდება საგზაო ნაკადების მართვა და სამგზავრო გარემო, დაინერგება საგანგებო, სპეციალური და საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრიორიტეტის, ასევე აღსრულების თანამედროვე ტექნოლოგიები და პრაქტიკა“. პროექტი მიზნად ისახავს ქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარებას, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას და ქალებისა და გოგონებისათვის უსაფრთხო სამგზავრო გარემოს უზრუნველყოფას.

ვიქტორ წილოსანმა თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო და ურბანული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე, ასევე შესაბამისი კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობის წარმოების თაობაზე ისაუბრა. მან ასევე ქაოსური განაშენიანების მიმართულებით არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

კომისიის წევრების შეკითხვებს, რომლებიც ტაქსების რეფორმას, საპარკინგე ადგილების სიმცირეს, ასევე ავტობუსების მძღოლების გადამზადებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა.

კომისიის წევრის საბა ბუაძის თქმით, დედაქალაქის შინამეურნეობების სატრანსპორტო კვლევა საჭიროებს განახლებას.

კომისიის წევრმა ნინო წულაძემ იკითხა, თუ რამდენმად განმუხტა თბილისში არსებული სატრანსპორტო კოლაფსი ტაქსების რეფორმამ? ასევე რა ვადის ფარგლებში იგეგმება უსინათლო პირებისთვის სასიგნალო შუქნიშნების მონტაჟი?

ვიქტორ წილოსანის თქმით, ყველა რეფორმა მიმართულია დედაქალაქის საკეთილდღეოდ, რაც მნიშვნელოვანად ისახება ქალაქში წესრიგის დამყარების კუთხით. უსინათლოთათვის სასიგნალო შუქნიშნების მონტაჟი უკვე დაწყებულია, პირველი გაჩნდა ქეთევან წამებულისა და ილია ჭავჭავაძის გამზირზე, ასევე დაემატება რეაბილიტირებულ წერეთლის გამზირს. აღნიშნული სისტემურ ხასიათს მიიღებს და დაემატება ქალაქის მნიშვნელოვან ქუჩებზეც.

კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში უსისტემოდ ფუნქციური ზონის ცვლილებებზე ისაუბრა და ცალსახად აღნიშნა, რომ ეს ეწინააღმდეგება გენ. გეგმის ფუნდამენტალურ პრინციპს.

ვიქტორ წილოსანის განმარტებით, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ქალაქის საუკეთესო ინტერესების დაცვას ემსახურება, მიღებული გადაწყვეტებით რიგ შემთხვევაში იზღუდება ცალკეული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა უფლებები სამშენებლო პირობების გაუარესების თვალსაზრისით. კერძო და საჯარო ინტერესების გაწონასწორების პრინციპის გათვალისწინებით, მუნიციპალური სახსრების რაციონალური გამოყენების მიზნიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლება შესაძლებელია აღდგენილ იქნას სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემით ან მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის გზით, შებამისად არცერთი პროექტი არ არის დედაქალაქის საწინააღმდეგოდ.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე  რევაზ სოხაძე